№ 84. 28 აპრილი, ხუთშაბათი. 1866—1883 28 აპრილი, ხუთშაბათი. № 84.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

მთელ წლისა . . .	9 მან.	სამის თვისა . . .	3 მან.
ექვს-თვისა	5 მან.	ერთი თვისა . . .	1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი; [illegible] ასოზე ნახევარი კაპეიკი; [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

თავადი გიორგი ილიას ძე ორბელიანი უმორჩილესად სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდენ დღეს, 28 აპრილს, ანჩისხატის ეკკლესიაში, დილით 10 საათ., ორმოცის დღის შემდეგ განსვენებისა **თავადის გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანისა**, მიცვალებულის მოსახსენიებელს პანაშვიდზე.

ტელეგრამმა

(„სრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

რუსეთიდამ

26 აპრილს

პეტერბურღი. გუშინ წავიდნენ მოსკოვს სახელმწიფო...

გუშინ ოლქის სასამართლოში დაიწყო პროცესი შესახებ ბოროტ-მოქმედებისა კრონშტატის ბანკში.

გაზეთები იწერებიან, რომ ებრაელთ კამისიის თავს-მჯდომარედ ჭეშმარიტად დანიშნონ გრაფი პალენი.

სამზღვარ-გარეთიდამ

26 აპრილს

ბერლინი. დეპუტატთა პალატის კრებანი დაიწყება 25 მაისს.

სოფია. გუშინ წავიდა მოსკოვს რუსეთის ხელმწიფის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებად დენერალ სობოლევი; დროებით თავს-მჯდომარედ მინისტრთა რჩევისა და სამთავროისა დანიშნულია დენ. კაულბარსი.

ახალი რკინის გზები

ტფილისი, 27 აპრილს.

ბაქოსი და ბათუმის ახლად გაყვანილი რკინის გზები დიდი ხანია, რაც დამზადებულია და ჯერაც მოძრაობა არ დაწყებულა კი. ამ გზების მშენებლები ჩვენც და უმაღლესს მთავრობასაც დიდი ხანი არწმუნებდნენ ხარატული ჯარასავით გაჩალხულები გვიდგა, მობრძანდით, ჩაიბარეთ და გავხსნათო. სხვები კი ვისაც ერხელ მაინც დაეთვალიერებინა ეს გზები, უკმაყოფილოდ თავს იქნევდნენ და ამბობდნენ: დიდი თავ-განწირულება ჭმართებს ვინც ამ ახუხულავებულ გზებით სიარულს გაჰბედავსო. ამ ხმებმა ჩვენამდენაც მოაღწია და ჩვენებურ გაზეთებში რამდენჯერმე იყო, ნამეტნავად ბათუმის გზის შესახებ, რომ ინჟინერები გზას კი არ აკეთებენ, მახეს გვიგებენ და გაფრთხილება გვმართებსო.

ამ თვის დამდეგს პეტერბურღიდან დანიშნული კამისია ჩამოვიდა ამ ახალი გზების ჩასაბარებლად. ჩვენებურმა ინჟინერებმა დიდი მეცადინეობა მოიხმარეს ეს თვალის მოსატყუებლად მიკოწიწებული ხუხულები ნამდვილ გზებად მოეჩვენებინათ: გზების მაგიერ, იმათ სულ ჩვენებურ ჰაერზედ, ბუნების სიმდიდრე და სიმშვენიერეზედ აქცევდნენ მათ ყურადღებას, მაგრამ ქალხასობა აღარ გაუვიდათ. ეხლა, როგორც ნამდვილად გვატყობინებენ, კამისიას ბათუმის რკინის გზის ნახევარი დაუწუნებია და მაისის ნახევრამდენ უნდა ხელმეორედ გადააკეთონ, განგებ დანიშნული აგენტის ზედამხედველობის ქვეშ. ცუდ გუნებაზედ უნდა იყვნენ ჩვენი ინჟინერები, რომელთაც მარტო ფულის ხვეჭის მადა დიდი აქვთ და საქმის მართლად და ღირსეულად თავის მოვალეობის აღსრულებას კი შორდებიან? მაგრამ არცარა კი ბევრს ინაღვლიან ეს ვაჟ-ბატონები, თუნდა რომ მთელი გზაც დაეწუნებინათ: ერთი თვალის დახამხამებაზედ მეორე ხაზს გაავლებენ და მეორე ხუხულას აგვიშენებენ...

თუ პეტერბურღიდან ჩამოსულმა კამისიამ მუსიკით და შამპანსკის ბოთლების ფეთქებით არ გაისეირნა ამ გზებზედ და ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, ეს ბეჭვლითი სიტყვის წყალობით მოხდა. გაზეთებს, რომ არ მიექცია ბათუმის გზის ნაკლულევანებაზედ ყურადღება, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ინჟინერები მიაფუჩეჩებდნენ და უბედურება არ აგვცილდებოდა.

დღიური

სამშაბათს, ამ თვის 26-სა თავადაზნაურთა საგანგებო კრებაში გადასწყვიტეს გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის მოსახსენებელ ძეგლისათვის უმაღლესობის სახელობაზედ თხოვნა მიცემულ იქმნას, რომ თავად-აზნაურობას ნება დაერთვას ფულის შეკრებისა.

⁂

ამ კვირა-ცხოვლობას ქალაქში კარგი დარისა გამო დიდ-ძალი ხალხი იყო ჩუღურეთის სერზე, სადაც ძველის ეკკლესიის ნანგრევთან ყოველ წელს ახალ-კვირას იკრიბება ტფილისის მოსახლეობა. მხიარულება თამაში, სიმღერა, კაჩაიები, საკრავების კვრა, ლხინი და სმა გაჩაღებული იყო. სიმღერა და ცეკვა ხუთ ექვს ადგილას იმერლებს, მეგრელებს და ქართლელებსა ჰქონდათ გამართული—დიდ დასებად ას-ორას კაცამდის.

⁂

ჩუღურეთის სერზედ ძველის კვირა-ცხოვლის ეკკლესიის ადგილას შენდება ახალი ეკკლესია. სერი კარგა გაუვაკებიათ დიდ მეიდნად და საძირკველი უკვე ჩაუყრიათ. სიგრძე ეკკლესიისა ცამეტი საჟენია და სიგანე რვა. ძველი ეკკლესია სულ მომცრო იყო—სამი საჟენის სიგრძე. ამ ეკკლესიის აშენება უთავნიათ მართლ მადიდებელ (თუ ნესტორიან) აისორებსა და დიდი მუშაობაც გაუწევიათ. აქამომდე სულ სამასი თუმანი დახარჯვიათ, მაგრამ, უფრო მომატებული ფასის მუშაობა ჩანს, რადგანაც მუქთად შრომობენ აისორის მუშა კაცები, კალატოზები, მეპოვოსკები, თულუხჩები და სხვანი. აგურსაც თურმე მუქთად სწირვენ და ქვიშა და ქვა თვით მთის ნათხარითგან გამოსულა. ამ მუშაობის მოთავედ არის აისორიევე ბადალოვი, რომელსაც მთავრობისაგან ნება აქვს ფულის შეკრებისა. (მსურველთ შეუძლიათ მისი ნახვა იქვე კვირა-ცხოველში); ფულის შეკრებისთვის დავთარია სასულიერო მთავრობისაგან მიცემული, რომელშიაც იწერება ყოველი შეწირული და სახელი შემწირველისა.

⁂

ქალაქში დიდი ხანია დადიოდა ხმა, რომ პეტერბურღიდამ ჩამოსულმა კამისიამ არ მიიღო ბათუმის რკინის გზა, მაგრამ ეს ხმა საფუძვლიანად არ მიგვაჩნდა დღემდის და დღეს კი რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ეს ამბავი

«დროების» ფელეტონი, 28 აპრილს.

გაკვრა-გამოკვრა

დაცხა. სიცხე ორ ნაირია: გარეგანი მზისაგან და შინაგანი. შიგნითი სიცხე მისცათ: ჩვენ ინჟინერებს და ზოგიერთ მხედრებს. უცხენობა, დაკარგნილი კვიცის გამოზრდა და მხედრის დაუძლურება. მოლა მასრადინა და იმის მოწონებული მხედარი. ამ მხედრის თვისებას შეადგენს მხოლოდ დარბაისლობა. დასცხა ოჭანეზას. კარპსაც სიცხეს აძლევს.

ქალაქში ცოტა მიცხოვრია, და ბევრი კი გამიგონია აქაურ გულის შემაწუხებელ სიცხეებზედ; მაგრამ, როგორც ძველი მცხოვრებლები მარწმუნებენ ჯერ ესე ადრე ამისთანა სიცხეები არ დამდგარა თურმე. აგერ მორგვივით რგვალი მიკირტუმა სულოქოსავით პირდაღებული დადის და ზემოდან ცივ სარდაფში ჩაძრომას აპირობს კიდეც. მე უფრო ეს ნაზი ქმნილება ყველაზედ ძალიან მებრალება: საცოდავი სულ ჩიტივითა ქასქასებს და ვეღარც რას ქოლგა ჰშველის, ვერც მარაო. ყოველთვის, როცა კი შევხედავ, გული მეუბნება ახლო მივიდე, უკვდავების წყაროს იაზმა ვასხურო და გავაგრილო, მაგრამ მეშინიან ეს ჩემი გულ მტკივნეულობა მეტიჩარაობად არ ჩამომართონ.

ძნელი ყოფილა სიცხე, მაგრამ იმ უბედურთ რაღა ქნან, ვისაც ზეიდან მზე აჭერს და შიგნიდან ისრეთ გვარი სიცხე, რომელიც მზისგან არ იბადება. ვიცი ამას ზოგიერთი ფიზიკოსი სიბრიყვედ ჩამომართმევს და კიდეც შემომიტევს: რას მიჰქარავ, რომელ-ღა სხვა სიცხეზედა ლაპარაკობო? სითბოსი და სინათლის დამბადებელი მხოლოდ ერთი მზეა!.. მაგრამ მე ყურსაც არ ვათხოვებ, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ამისთანა მეცნიერების ალაგი ნათლულშია, ექიმი პაელოვსკის სამკურნალოში.

⁂

აგერ ჩვენ ინჟინერებს ჯერ წავ დადებული პალტოები არც გაეხადათ, რომ შინაგანმა სიცხემ 40 გრადუსამდე მიაღწია. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ ამ სიცხის მიზეზი ჩრდილოეთიდან ცივი ნიავის მაგიერ, ცხელი ქარი უბერავს.

მოგეხსენებათ, უკვდავი რუსთაველის აზრით ის იყო განათლებული და ბედნიერი ქვეყანა, სადაც ქვრივობოლი დამდიდრდა და დათხა და მგელი ერთად სძოვდენ. მაშასადამე, სადაც ერთმანეთის შური, მტრობა და ძალადობა სამუდამოდ მოისპო და მათი ალაგი დაიჭირეს: სიყვარულმა, ძმობამ და ერთობამ. ეხლა კი ყველაფერს, რაც აქ დავასახელეთ, სისულელეს ეძახიან და ცივილიზაცია, ანუ განათლება იმ გარეგანი ნიშნებით იცნობა, რომელნიც შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ზნეობით და გონებით-კი იმ წერტილზედ იდგეს, როდესაც კაცი მგლისაგან მხოლოდ გარეგნობით განსხვავდებოდა. მაგალითებრ: ეხლა ყველა ერთ-ხმათა ყვირის, რომ განათლებული ქვეყანა ის არის, სადაც ბევრი ბანკები, რკინის გზები და ტელეგრაფიაო. ჩემის აზრით კი პირვე-

და ამ საგანზე წინა წერილში ველაპარაკობთ.

ესვე გაზეთები გვაცნობებენ, რომ 25 აპრილისთვის ბაქოს რკინის გზა გაიხსნებაო. გზა გახსნილია, ჩვენც ვხედავთ, მისვლა-მოსვლაც არის, მაგრამ ჯერ ოფიციალურად კიდე არ გამოუცხადებიათ—გაიხსნა თუ არა გზა.

⁂

სამშაბათს, 26 აპრილს მაღალ-ყოვლად სამღვდელო საქართველოს ექსარხოსი პავლე წაბრძანდა მოსკოვს ხელმწიფის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებად.

⁂

გუშინ დილით 9 საათ. მთავარმართებელმა კავკასიისა თ-მა დონდუკოვ-კორსაკოვმა დიდუბეში დახედა ტფილისში მდგომი ჯარები.

⁂

ორშაბათს დანიშნული ლიტერატურული და მუსიკალური საღამო საზაფხულო თეატრში დღესათვის გადასდეს. იმ პირთ გარდა, რომელთაც ორშაბათს უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამ საღამოში, დღეს იღებენ მონაწილეობას ქ. ილინსკისა, ივანოვისა და ალექსეევ-მესხიევი, რომელიც ნაცვლად კ. ყიფიანისა წაიკითხავს გოგოლის „შეშლილის დავთრებს“.

⁂

ბათუმიდამ დეპეშით აცნობებენ „კავკაზს“, რომ 25 ამ თვეს ღამით გაუჩნდა ცეცხლი ზღვის-ნაპირად გაშენებულ მაღაზიებს და ერთიანად გადასწვაო.

⁂

როგორც გვწერენ ქუთაისის სატუსაღოდამ ავაზაკის მაჭავარიანის გაქცევის ამბავი ტყუილი გამომდგარა, თუმცა „შრომა“ „ნამდვილად შევიტყეო“ იწერებოდა. შეეძლო-კი სწორედ—შეეტყო „შრომას“ ამ ამბის სინამდვილე, რადგან ქუთაისის სატუსაღოდამ შორს არ იმყოფება.

⁂

დ. შორაპნიდამ გვწერენ 26 აპრილს. „წუხელ ნაშუაღამევს ორ საათზე გაუჩნდა ცეცხლი იკანეთე ყიფიანის ხის შენობას, რომელშიაც სასტუმრო ჰქონდა გახსნილი ერთ ვიღაც რუსის ქალს და ოთხ საათზე ერთიანად დაიწვა. ცეცხლი თითქმის ერთბაშად მოედო შენობას. სახლი როგორც ამბობენ სამას თუმნად არის შეტანილი მზღვეველ საზოგადოებაშიო. შინაური მოწყობილობა სასტუმროსი რამდენიმე კრაოტი, დანა-ჩანგალი, სტაქნები, საბნები და სხვანი ას თუმნად იყო „დასტრახულიო.“ თუ ეს მართალია არც პატრონი და არც ეს ქალი წაგებაში არ იქმნებიან. მხოლოდ ერთი უბედურება მოხდა. ამ სასტუმროში იდგა ერთი ინჟინერი სტატსკი სოვეტნიკი იოსა გვარად. ეს ამხანაგი იყო ფურმანისა შავი-ქვის საქმეში. ცეცხლი რომ მოედო სახლს, ეს სოვეტნიკი გამოვარდა გარეთ, შემდეგ ისევ შებრუნდა და თავის ნივთები გამოყარა, გამოვიდა თვითონაც წაიქცა და მოკვდა იქვე. ცეცხლის მიზეზით კი არა, შეკრთომაზე გული გასკდომია რადგან გულით სნეული ყოფილა. ფელდშერის საშუალებით ველარ მოაბრუნეს, თუმცა ექიმი მაშინვე მოიყვანეს. შენობა სულ ხის იყო და თავისით დაქრა ცეცხლი, როდესაც სულ დაიწვა ყველაფერი.

„დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. გრემისხევი (დუშეთის მაზრის), 24 აპრილს. პატივცემულ გაზეთ „დროებაში“, 73 ნომერში წავიკითხე „ჩვენი მიწა-წყლის საქმის“ წერილში სამეურნეო საქმეზედ ლაპარაკი. მიწა-წყლის საქმეზე ბევრნი ჩვენი მამა-პაპანი უგზო-უკვლოდ დარჩენილან. რომელთაც ჰქონიათ მეფეებისგან ნაბოძი სიგელები ტყისა, მთისა და აგრეთვე თარხნობისა, ან ძველთაგან სყიდვით შეძენებულების ადგილისა,—ყური არ უგდიათ. რუსეთის საფარველ ქვეშ შესვლის დროს ჩვენის საქართველოსი ვერ დაუმტკიცებინებიათ ხსენებული საბუთები კანონისამებრ და დღეისამდე დაუმტკიცებლად დარჩენილან. თუმცა ცხრა წლის წინეთ იყო ბ. გუბერნატორის ბრძანებით მოკითხულობა და წარუდგინეს სასოფლო მოსამართლეებს, და იმათ ბრძანების თანახმად უნდა წარედგინათ სიებით უეზდის ნაჩალნიკთან, მაგრამ აქამდის ვერავინ შეიტყო, სად არის და წარადგინეს თუ არა? ამისგან გამოღებული ნაყოფი არა გამოგვიჩნდა-რა. ვაი, თუ ადგილამდის ვერ მიაღწია სიგელებმა და ამისგან მოხდა? ნათქვამი გახლავს: „სად ჩაგონება არ არის, კარგვა არს საჩივრისაო“.

მამულების გამო ეხლა ჩვენი სახელმწიფო გლეხნი საერთო ბედს რასმე მოველით, დიდის შრომისა და პატარის პატრონნს ერთ ნაირად დაგვიბრუნდება ბედის ჩარხიო. სულ ყველანი მოლოდინებაში ვართ და ჩვენი მეურნეობის საქმე ამის გამო წინ არ მიდის. ნათქვამი გახლავთ გლეხური ანდაზა: „ბებერი ამბობდაო, მე მოვკვდებიო, სახლი რისთვის მინდაო; ქალიც ამბობდა, მე გავთხოვდებიო, სახლი რისთვის მინდაო? იმ ჟამად არც ბებერი მოკვდა და არც ქალი გათხოვდა, ორნივ დაქცეულ სახლის ანაბარას დარჩნენო“. ეს ჩვენი ლოდინიც სწორედ ამ ანდაზას მიემგზავსება. ბევრს სახაზინო სოფლებში არის ესეთი ფიქრი: სოფლებში არიან ახლად შესულნი ეულნი ხალხნი, ეწევიან საერთო გადასახადსა და იმედი აქვთ ამ ახალ ბინაზე მოგვეცემა მიწა-წყალიო. ამის იმედით აღარ ეძებენ მამა-პაპეულს ადგილსა და არც იძიებენ მამულის მესაკუთრებისაგან. აგრეთვე მამულის მესაკუთრენიც და მკვიდრნი იმ ფიქრში არიან, ჩვენ გამოგვერთმევა მამულებიო და ეულ კაცებს მიეცემაო. ამ მიზეზით მეურნეობის წარმატება დგება, ჩვეულებისამებრ ველარც მიწას აყრიან პატივსა, ვერც აშორებენ მავნებელ ქვასა და ჯაგსა, აგრეთვე ჩვეულებისამებრ ხეხილსაც ვერ აშენებენ, უბრალოდ სხვას დარჩებაო. ამ გვარად გულ აცრუებული ვართ და მოგვეტეხნია კავშირი მამულის შემუშავების სიყვარულისათვის, მაგრამ ეს კი უნდა გვ[illegible] ფუტკარი სულ [illegible]

ალექსი გოძიაშვილი.

განცხადებანი

იტალიანური ოპერის მომღერალი

ფ. ქორიძე

მცოდნე საფუძვლიანად ხმის განვითარებისა და განვარჯიშებისა, იტალიანურის მეთოდითა, ასწავლის სიმღერას ფრიად მცირე ფასით. ხოლო მეუსიერთა და ნიჭიერთა ღარიბთა თითქმის მუქთად. გარდა ამისა ასწავლის იტალიანურს ენას.

ზ. მ. ქორიძისა, მცოდნე მუზიკისა პრაკტიკულად და ტეორეტიკულად, ასწავლის ფორტეპიანოს და ენებსა: რუსულს, იტალიანურს, ფრანცუზულს და ნემეცურს, ფრიად მცირე ფასით.

ბაზრის ქუჩა, **№ 20.** სახლი ერისთავისა (ადრე თამამშოვისა).

(5—1)

საავადმყოფო

ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები **სლონკოსი**, ვარანცოვის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. **ლუნკევიჩი** თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. გ. **სამოილოვიჩისა** ქალის და ყმაწვილის ავდა-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. **პავლოვსკი**, ნერვულ და შინაგან ავად-მყ; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. **ბაბოვი** შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. **პავლოვსკი** ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ეძლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. **საავად-მყოფოში** არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი.

(20—19)

ლი ძელი მათთვის უნდა ამართულიყო, ვინც ესენი მოიგონა, ამიტომ რომ აქედან დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში **განათლებული ბარბაროსობის** პერიოდი და ისე არაფერი უმართავს ხელს განათლებულ ბარბაროსობას, როგორც ორთქლის და ელექტრონის მოხმარება ბანკებით.

ჩვენთვისაც განათლებულ ქვეყნებში შეთრევა მოინდომეს და რკინის გზით ლიხის მთა გადაგვიჭრეს. ამ ერთმა გზამ იბარტყა და ეხლა ბათუმისა და ბაქოს რკინის გზები დაიბადა. ეს ამას ნიშნავს, რომ თქვენი საჩხო ცხენებით და აქლემებით ვერ გავზიდეთ და რკინის გზებით უფრო ადვილად მოვახერხებთო. ეს ერთი. მეორეც ესა, სადი ხალხი ხართ—რკინის გზების გამართვა ყველას უნდა უხაროდეს და ნამეტნავად ინჟინერებს.

ბათუმისა და ბაქოს რკინის გზები გამართულია, მაგრამ ჯერ მათზედ სიარული არ დაწყობილა, მანამ პეტერბურღიდან მოსული კამისია არ გაჰსინჯავს. ამ კამისიამ უნდა შეამოწმოს ქუკუევი ბევრ ალაგას არის გამართული, თუ არა.

ქამისიას უნახავს, რომ თუმცა ბაქოს გზაზედ ქუკუევი იმდენია, რამდენიც საჭირო არისო, მაგრამ ბათუმის გზა კი თურმე სამტრედიიდამ ბათუმამდე სულ ქუკუევი ყოფილა. არც ეგ იქნება, თქვე დალოცვილებო, და კამისიას ჩვენი ინჟინერებისთვის „ციც“! უთქვამს. სცხელათ ინჟინერებს! როგორც შევიტყე, ამ რკინის გზებზე სიარული მალე დაიწყობა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ყველა მატარებელზედ იყოს: ერთი ექიმი თავის ფერშლებით და აფთიაქით, ერთი მღვდელი, მოლა და ტერტერა. ბოლოს მაინც შესცოდებია კამისიის უფროსს ინჟინრები და უკითხავს: ეს რკინის გზებიც ხომ გაათავეთ და ეხლა რაღა უნდა ჰქნათ, თქვე საწყლებოვო. ისევ რკინის გზა უნდა გავიყვანოთ ტფილისიდან უნაგირა მთამდენო, უპასუხნია ერთ მათგანს. იქიდან რაღა არის გამოსატანი, ან რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვსო, კიდევ უკითხავს. არაფერი, თქვენო აღმატებულებავ, ჰაერი და ცივი წყალი მეტად კარგი გახლავსო, მიუცია პასუხი. მაშ ინჟინრები მალე შეუდგებიან **Тифлисско-Унагиро-Мтинской желѣзной дороги**-ს კეთებას.

⁂

თუმცა ოჰანეზამ მძიმე ბუხრის ქუდი მოიხადა და მსუბუქი ცილინდრი დაიხურა, მაგრამ თავის დღეში ესრე არსად დასცხომია, როგორც ეხლა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ძროხა არამც თუ ძველებურად აღარ ეწველინება, ლამის მწვეტი რქებით ისიც ისევ წამოასხმევინოს, რაც აქამდე უწოვნია. რაექნა, ოჰანეზ, მე ვერას გიშველი; შენ იცი და მიკირტუმამ!

არაგველი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Апрѣля 1883 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.